საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 563 2016 წლის 22 დეკემბერი ქ. თბილისი

„ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობის რეგულირების განსაკუთრებული რეჟიმის ამოქმედების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აგვისტოს №411 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქთმშენებლობის რეგულირების განსაკუთრებული რეჟიმის ამოქმედების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აგვისტოს №411 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/08/2015, 330090000.10.003.018797) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის სრული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის მიზნით:

ა) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ (სსიპ – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ) 2018

წლის 1 ოქტომბრამდე მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან თანამშრომლობითა და კოორდინაციით უზრუნველყოს:

ა.ა) ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავება;

ა.ბ) მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების დამცავი (ბუფერული) ზონის კორექტირება;

ა.გ) ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის არსებული კულტურული მემკვიდრეობის ზოგადი დაცვის ზონების კორექტირება;

ბ) ეთხოვოს ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტს 2018 წლის 31 დეკემბრამდე უზრუნველყოს ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება.“.

2. დადგენილების მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 10.** დადგენილება ძალაშია 2018 წლის 31 დეკემბრამდე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**